აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის

ბრძანება №146/ძ

ქ. თბილისი „25“ 06 2020 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის“ პროგრამით (პროგრამის კოდი: 06 04) გათვალისწინებული „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების“ ქვეპროგრამის (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 11) ფარგლებში სტიპენდიების მისანიჭებელ კანდიდატთა განაცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

„დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის #12 დადგენილებისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის #33 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის“ პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამა „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების“ (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 11) ფარგლებში სტიპენდიის მინიჭების მიზნით კანდიდატთა მიერ განაცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ამ ბრძანების გამოქვეყნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუკგვერდზე.

3. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციას უზრუნველყოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონით დადგენილი წესით სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ.#7ა) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის ნინო ლობჟანიძის სამსახურებრივი ბარათი (#509730, 24/06/2020წ.).

მინისტრი **როლანდ ნიჟარაძე**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი

MES 0 20 0000520844

26/06/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელებს

ქალბატონო/ბატონო,

მოგეხსენებათ, ახალგაზრდებში აფხაზეთის საკითხისადმი ინტერესის და ზოგადად თემის პოპულარიზაციის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით ხორციელდება ,,დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები" (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №12 25.02.2016).

2020 წლის 25 ივნისის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის N146/ძ ბრძანებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტიპენდიის მისანიჭებლად სტუდენტების სამინისტროში წარდგენის ვადად განისაზღვრა 2020 წლის 01 ივლისიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

წარმოგიდგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილებას ,,დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე". დადგენილებაში მოცემულია სამინისტროში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ სტიპენდიის მისანიჭებლად კანდიდატების სამინისტროში წარმოდგენა (შესაბამისი დოკუმენტაციით) ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში (იხ. დანართები).

პატივისცემით,

მინისტრი
ნიჟარაძე როლანდ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №12

2016 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად:

1. დაწესდეს დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდია პოლიტიკის მეცნიერების დარგში განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის და დამტკიცდეს დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დაწესდეს ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის და დამტკიცდეს ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის გაცემის წესი თანდართული დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (მ. ფარფალია) უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული სახსრების გათვალისწინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.

მუხლი 3. დადგენილება ძალაშია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შესაბამისი ცვლილებების ამოქმედების დღიდან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია**

დანართი №1

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს პოლიტიკის მეცნიერების დარგში განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდიის (შემდეგში-სტიპენდია) მინიჭების პირობებს და პროცედურებს.

2. სტიპენდია გამიზნულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ 80% და მეტი აკადემიური მოსწრება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში და არიან საზოგადოებრივად აქტიურები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირველკურსელი სტუდენტები სასტიპენდიო რეიტინგში მონაწილეობას მეორე სემესტრიდან იწყებენ პირველი სემესტრის ქულებით.

4. სტიპენდიის მინიჭებისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) იქმნება კომისია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლებისა და კულტურის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ბრძანებით.

მუხლი 2. სტიპენდია

1. სტიპენდია ენიჭებათ პოლიტიკის მეცნიერების დარგში განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს (შემდეგში-სტუდენტი) ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისათვის.

2. სტიპენდია წესდება მაგისტრატურის სტუდენტისათვის თვეში 200 ლარის ოდენობით არაუმეტეს 1 სტუდენტისა, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში 200 ლარის ოდენობით არაუმეტეს 1 სტუდენტისა. სტიპენდიანტებს სტიპენდია ეძლევათ დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (ათი თვე).

3. კომისიას უფლება აქვს სტიპენდიანტს ვადაზე ადრე მოუხსნას სტიპენდია, თუკი სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება ან შეუწყდება, კომისია ამ გადაწყვეტილებას იღებს სტიპენდიაზე წარმდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 20 მაისის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 27.05.2019წ.

მუხლი 3. სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია

1. კომისიას 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით ამტკიცებს მინისტრი.

2. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებები შეაქვს მინისტრს.

მუხლი 4. კომისიის მუშაობის და სტიპენდიის მინიჭების წესი

1. სტიპენდიის მისანიჭებლად სტუდენტების წარდგენის უფლება აქვთ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

2. კანდიდატის შესაბამისი დოკუმენტაცია (წარდგინება, 1 რეკომენდაცია, პირადობის მოწმობის ასლი, სტუდენტის სასწავლო ბარათი, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სიგელები, სერტიფიკატები არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია საზოგადოებრივი აქტივობის შესახებ) წარედგინება მინისტრს, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტაციას გადასცემს კომისიას განსახილველად.

3. განაცხადების წარდგენის ვადას განსაზღვრავს და საჯაროდ აცხადებს სამინისტრო სასწავლო წლის დასრულების შემდგომ.

4. გამოცხადებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განაცხადები არ განიხილება.

5. სტიპენდიის თაობაზე განცხადებას კომისია განიხილავს ახალი სასწავლო წლის დადგომამდე, კერძოდ 10 აგვისტომდე და გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება სტიპენდიის მინიჭების შესახებ, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

7. სტიპენდიის მოსაპოვებლად კანდიდატურების განხილვა მიმდინარეობს ღია წესით.

8. კომისიის წევრს უფლება აქვს მოითხოვოს სხდომაზე კანდიდატურის დასწრება ან დამატებითი ინფორმაციის მიღება.

9. კომისია სტიპენდიის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ფარული კენჭისყრით, ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით.

10. კომისიის მიერ სტიპენდიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომის ოქმი წარედგინება მინისტრს.

11. სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

დანართი №2

ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის (შემდეგში-სტიპენდია) მინიჭების პირობებსა და პროცედურებს.

2. სტიპენდია გამიზნულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ 80% და მეტი აკადემიური მოსწრება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში და არიან საზოგადოებრივად აქტიურები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირველკურსელი სტუდენტები სასტიპენდიო რეიტინგში მონაწილეობას მეორე სემესტრიდან იწყებენ პირველი სემესტრის ქულებით.

4. სტიპენდიის მინიჭებისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) იქმნება კომისია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ბრძანებით.

მუხლი 2. სტიპენდია

1. სტიპენდია ენიჭებათ აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს (შემდეგში-სტუდენტი) ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისათვის.

2. სტიპენდია წესდება მაგისტრატურის სტუდენტისათვის თვეში 200 ლარის ოდენობით არაუმეტეს 1 სტუდენტისა, ასევე ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში – 200 ლარის ოდენობით არაუმეტეს 1 სტუდენტისა. სტიპენდიანტებს სტიპენდია ეძლევათ დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (ათი თვე).

3. კომისიას უფლება აქვს სტიპენდიანტს ვადაზე ადრე მოუხსნას სტიპენდია, თუკი სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება ან შეუწყდება, კომისია ამ გადაწყვეტილებას იღებს სტიპენდიაზე წარმდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 01.12.2016 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 20 მაისის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 27.05.2019წ.

მუხლი 3. სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია

1. კომისიას 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით ამტკიცებს მინისტრი.

2. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებები შეაქვს მინისტრს.

მუხლი 4. კომისიის მუშაობის და სტიპენდიის მინიჭების წესი

1. სტიპენდიის მისანიჭებლად სტუდენტების წარდგენის უფლება აქვთ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

2. კანდიდატის შესაბამის დოკუმენტაცია (წარდგინება, 1 რეკომენდაცია, პირადობის მოწმობის ასლი, სტუდენტის სასწავლო ბარათი, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სიგელები, სერტიფიკატები არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია საზოგადოებრივი აქტივობის შესახებ) წარედგინება მინისტრს, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტაციას გადასცემს კომისიას განსახილველად.

3. განაცხადების წარდგენის ვადას განსაზღვრავს და საჯაროდ აცხადებს სამინისტრო სასწავლო წლის დასრულების შემდგომ.

4. გამოცხადებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განაცხადები არ განიხილება.

5. სტიპენდიის თაობაზე განცხადებას კომისია განიხილავს ახალი სასწავლო წლის დადგომამდე,

კერძოდ 10 აგვისტომდე და გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება სტიპენდიის მინიჭების შესახებ, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

7. სტიპენდიის მოსაპოვებლად კანდიდატურების განხილვა მიმდინარეობს ღია წესით.

8. კომისიის წევრს უფლება აქვს მოითხოვოს სხდომაზე კანდიდატურის დასწრება ან დამატებითი ინფორმაციის მიღება.

9. კომისია სტიპენდიის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ფარული კენჭისყრით, ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით.

10. კომისიის მიერ სტიპენდიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომის ოქმი წარედგინება მინისტრს.

11. სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.